

ტუტე ფოსფატაზა (ALP)

ტუტე ფოსფატაზა არის ჰიდროლიზური ფერმენტი, რომელიც ისეთ მოლეკულებს აშორებს ფოსფორულ ჯგუფებს როგორებიცაა: ნუკლეოტიდები, ცილები და ალკალოიდები. ამ რეაქციას დეფოსფორილაცია ეწოდება. სახელიდან გამომდინარე, ტუტე ფოსფატაზა ტუტე გარემოში მოქმედებს. ტუტე ფოსფატაზა გვხვდება ყველა ქსოვილში, თუმცა ღვიძლი, სანაღვლე გზები და ძვლები მას განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავენ.

რატომ კეთდება ALP-ს ტესტი?

მოცემული ტესტით დგინდება, პაციენტს აქვს თუ არა ღვიძლის ან ძვლების დაავადებები. ასევე, დიაგნოსტირებული პათოლოგიის შემთხვევაში, ALP-ს ანალიზი გამოიყენება მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

სისხლის აღებამდე პაციენტმა 6 საათით ადრე არ უნდა მიიღოს არც საკვები და არც წყალი. ტუტე ფოსფატაზას რაოდენობაზე მოქმედებს მრავალი მედიკამენტი, ამიტომ მათი მიღება სასურველია შეწყდეს სისხლის აღებამდე. მიუხედავად ამისა, ექიმთან შეთანხმების გარეშე პაციენტმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყვიტოს მედიკამენტების მიღება.

მედიკამენტები რომლებიც ცვლიან ტუტე ფოსფატაზას რაოდენობას სისხლში;

- ალოპურინოლი
- ანტიბიოტიკები
- კონტრაცეპტივები
- ქლოპრომაზინი
- კორტიზოლი
- ტესტოსტერონი
- მეთილდოფა
- ნარკოტიკული საშუალებები
- არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები
- პროპრანოლოლი
- ტრიციკლური ანტიდეპრესანტები

ანალიზის გასაკეთებლად საჭიროა ვენური სისხლი.

რას ნიშნავს მომატებული ტუტე ფოსფატაზა (ALP)?

ნორმაში ALP მერყეობს 44-147 U/I ფარგლებში.

ALP-ს ნორმის ცვალებადობა დამოკიდებულია პაციენტის ასაკსა და სქესზე.

ტუტე ფოსფატაზა მატულობს შემდეგი დაავადებების დროს:

- ძვლების დაავადებები
- სანაღვლე გზების ობსტრუქცია
- ჰეპატიტი
- ჰიპერპარათირეოიდიზმი
- ღვიძლის დაავადებები
- პაჯეტის დაავადება

- ძვლის ოსტეობლასტური სიმსივნე
- ოსტეომალაჯია
- სარკოიდოზი
- რაქიტი
- ლეიკემია
- ლიმფომა

რას ნიშნავს დაქვეითებული ტუტე ფოსფატაზა (ALP)?

ტუტე ფოსფატაზა კლებულობს შემდეგი დაავადებების დროს:

- მალნუტრიცია
- ცილების ნაკლებობა
- ვილსონის დაავადება

სხვა დაავადებები რომლის დროსაც კეთდება ტუტე ფოსფატაზას ანალიზი:

- ალკოჰოლური ჰეპატიტი
- ალკოჰოლიზმი
- სანადვლე გზების სტრიქტურა
- სანადვლე გზების კენჭოვანი დაავადება
- გიგანტურ უჯრედოვანი არტერიტი (ტემპორარული)
- პანკრეატიტი
- თირკმლის კიბო

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

სხვა დასახელება არ გააჩნია.

საჭირო ინფორმაცია

ტუტე ფოსფატაზა მაღალი აქვთ ორსულებს და მოზარდებს. იმ პაციენტებში რომლებსაც აქვთ I და III სისხლის ჯგუფი, ტუტე ფოსფატაზა მატულობს ცხიმოვანი საკვების მიღების შემდეგ.

ტუტე ფოსფატაზა ასევე მატულობს შეხორცების ფაზაში მყოფი ძვლოვანი მოტეხილობების დროს.